

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ აცხადებს კონკურსს მის საკუთრებაში არსებული სასაღილო ფართისა და სამზარეულო მოწყობილობის ინვენტარის იჯარის ფორმით გაცემის მიზნით.

**1. იჯარით გასაცემი უძრავი ქონების მახასიათებლები:**

უძრავი ქონების მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68

ფართი: 187 კვ.მ (აქედან 160 კვ.მ შეადგენს სამზარეულოს და დარბაზს, ხოლო 27 კვ.მ დამხმარე დანიშნულების ფართს).

სახეობა: არასაცხოვრებელი, საზოგადოებრივი კვების ობიექტი.

მიზნობრიობა: სასაღილოს ორგანიზება.

საიჯარო ქირის მინიმალური ოდენობა შეადგენს: თვეში 1629 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

ობიექტის აღჭურვილობა: ფართი ნაწილობრივ აღჭურვილია ინვენტარით ელექტრო ქურებით, მაცივრებით, ჭურჭლის სარეცხი მანქანებით და მაგიდა-სკამებით.

საიჯარო ვადა: ხელშეკრულებით განსაზღვრული თარიღიდან - 2 (ორი) წელი; (ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია ვადის გაგრძელება).

საკონკურსო პირობები: საიჯარო ფართზე საზოგადოებრივი კვების ობიექტის ორგანიზება.

**2. საკონკურსო ვადები:** საკონკურსო განაცხადის და საკვალიფიკაციო მონაცემების მიღება იწარმოებს 2014 წლის 24 მარტის 10:00 საათიდან - 2014 წლის 8 აპრილის 14:00 საათამდე, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68 სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ კანცელარიაში, საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, დალუქულ კონვერტში. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადები არ მიიღება;

საკონკურსო განაცხადები გაიხსნება 2014 წლის 8 აპრილის 14:00 საათზე;

**3. საკონკურსო წინადადებები სავალდებულოდ უნდა შეიცავდეს:**

1. ინფორმაციას კონკურსში მონაწილე ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ და სარეკომენდაციო წერილ(-ებს) ბოლო 3 წლის განმავლობაში ანალოგიური საქმიანობის (საზოგადოებრივი კვების ობიექტის ორგანიზება) განხორციელების თაობაზე.

2. კონკურსში მონაწილე ორგანიზაციის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

3. პროდუქციის ჩამონათვალს (უღუფების მითითებით) და ფასებს (მენიუს) კვების მენიუ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე ელექტრონული ვერსიით Excel, Power Point Presentation ან pdf ფაილში. ელ.ფოსტის მისამართზე: [t.enukidze@gpb.ge](mailto:t.enukidze@gpb.ge)

4. დამატებით შემოთავაზებებს.

საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსში მონაწილე პირთა განცხადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება შემდეგი კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტების გათვალისწინებით:

1. მენიუს მრავალფეროვნება და პროდუქციის ფასები (უპირატესობა მიენიჭება მენიუს მრავალფეროვნებას და დაბალ ფასებს) – **0,6**
2. კონკურსანტის გამოცდილება – **0,3**
3. დამატებითი შემოთავაზებები – **0,1**

**4. კონკურსში მონაწილის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:**

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

ბ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

• საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს 2014 წლის 24 მარტის შემდეგ.

**კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია უზრუნველყოს:**

- საზოგადოებრივი კვების ობიექტის მუშაობა: სამუშაო დღეებში: 09:30 საათიდან – 20:00 საათამდე, არასამუშაო დღეებში 11:00 საათიდან - 16:00 საათამდე (საჭიროების შემთხვევაში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ 1 დღით ადრე შეატყობინებს კონკურსში გამარჯვებულს სამუშაო საათების ცვლილებასთან დაკავშირებით);
- საზოგადოებრივი კვების ობიექტის ყოველდღიური მუშაობა;
- არ გაზარდოს საკონკურსო განაცხადში მითითებული პროდუქციის ფასები და მენიუ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელთან“ შეთანხმების გარეშე;
- საზოგადოებრივი კვების ობიექტში მომსახურეობის მაღალი ხარისხი;
- სანიტარულ-ჰიგიენური პირობების სრული დაცვა;
- კვების ობიექტის დამატებით საჭირო ინვენტარით აღჭურვა და საიჯარო პერიოდში საჭიროებიდან გამომდინარე შევსება;
- პროდუქციის ჩამონათვალის (ულუფების მითითებით) და ფასების (მენიუ) განთავსება კვების ობიექტზე თვალსაჩინო ადგილას.

საიჯარო პერიოდში მოხმარებული ელ. ენერჯის, წყლის და სხვა კომუნალური გადასახადის გადახდა;

ხელშეკრულება მხარეებს შორის გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

**შენიშვნა:** კონკურსში მონაწილეებმა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ საკონკურსო განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები დალუქული კონვერტით.